

პოლიტიკური სუბიექტების დამოკიდებულება ზოგადი განათლების
სახელმწიფო პოლიტიკისადმი საქართველოში

ალექსანდრე კუზნეცოვი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტროს ხელმძღვანელი: მოწვეული მასწავლებელი გიორგი გახელაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021წ.

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის პოლიტიკური სუბიექტების დამოკიდებულება ზოგადი განათლების სახელმწიფო პოლიტიკისადმი საქართველოში - ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული/ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ალექსანდრე კუზნეცოვი

15.03.2021

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება პოლიტიკური სუბიექტების დამოკიდებულებას სახელმწიფო განათლების პოლიტიკის მიმართ საქართველოში. კერძოდ, ნაშრომში ყურადღება მახვილდება ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის მიმართ პოლიტიკური სუბიექტების დამოკიდებულებაზე. საკითხის გამოსაკვლევად ჩატარდა ორი რაოდენობრივი კვლევა. აქედან პირველი კვლევის ფარგლებში გამოიკითხნენ პოლიტიკური სუბიექტები (პარლამენტარები), მეორე კვლევის შემთხვევაში კი 17-დან 40-მდე ადამიანები, რომლებსაც უშუალო შეხება აქვთ სასკოლო განათლებასთან. პირველი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 4 პარლამენტარი, ხოლო მეორე კვლევის ფარგლებში 132 ადამიანი. მიღებულმა შედეგებმა შესაძლებელი გახადა გარკვეული ტენდენციების გამოვლენა, რომელიც პოლიტიკურ სუბიექტებს შორის არსებობდა. ამავდროულად პოლიტიკურ სუბიექტებსა და მოსახლეობის შეხედულებებს შორის არსებული მსგავსებების და განსხვავებების გამოვლენა.

ძირითადი სამიზნე სიტყვები: საჯარო განათლება, სკოლა, სასწავლო პროგრამა, მოსწავლე, მასწავლებელი, განათლების მიზანი.

Abstract

The master's thesis is dedicated to the attitude of political entities towards the state education policy in Georgia. In particular, the paper focuses on the attitude of political entities towards the general education system. Two quantitative studies were conducted to investigate the issue. In the first survey, political entities (parliamentarians) were interviewed, and in the second survey, 17 to 40 people with direct contact with school education were interviewed. In the first survey, 4 parliamentarians were interviewed, and in the second survey, 132 people were interviewed. The results obtained made it possible to identify certain tendencies that existed among political entities. At the same time, revealing similarities and differences between political entities and the views of the population.

Key words: public education, school, curriculum, student, teacher, purpose of education.